სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი 12 სექტემბერი 2022 წელი

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 18 იანვრის N 5 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის ოქმი №01

სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ხვედელიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

ნიკო გიგოლაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი;

როსტომ თოლორდავა - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის მთავარი ბუღალტერი.

სატენდერო კომისიის სხდომას არ ესწრებოდნენ:

ია ძებისაური – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის უფროსი;

ივანე კვიტაიშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების კოორდინატორი;

ირაკლი რობაქიძე– სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის ლოჯისტიკის ჯგუფის უფროსი.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ინიციატივა იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია გამოცხადებულ ტენდერში (სატენდერო განცხადების N NAT220018080) შეტანილი იქნეს ცვლილება, კერძოდ, დაკორექტირდეს სატენდერო დოკუმენტაციის 2.7.1 და 2.9 პუნქტები და ამორებული იქნეს მოთხოვნა „შემოთავაზებული სასტუმრო უნდა იყოს საერთაშორისო ბრენდის მქონე“. აღნიშნული ცვლილების შედეგად გაიზრდება კონკურენცია.

განიხილეს

კომისიის წევრებმა იმსჯელეს თამჯდომარის წინადადებაზე და ერთხმად აღნიშნეს, რომ აუცილებელია განხორციელდეს სატენდერო დოკუმენტაციაში კორექტირება

დაადგინეს:

1. შეტანილი იქნეს ცვლილება სატენდერო დოკუმენტაციის 2.7.1 და 2.9 პუნქტებში, ამოღებული იქნეს

წინადადება „შემოთავაზებული სასტუმრო უნდა იყოს საერთაშორისო ბრენდის მქონე“.
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ორი სამუშაო დღის ვადაში სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის განთავსების უზრუნველყოფა www.procurement.gov.ge-ზე.

სატენდერო კომისიის და აპარატის თავმჯდომარე:	დავით ხვედელიძე -
სატენდერო კომისიის წევრები:	ნიკო გიგოლაშვილი -
	როსტომ თოლორდავა -